სახელმწიფო ვალი

სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 2015 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგენს 10,079.86 მილიონ ლარს, რაც მთლიანი სახელმწიფო ვალის 78%-ია. აღნიშნული საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან/პარტნიორებისგან ქვეყნისათვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი შეღავათიანია და ძირითადად შედგება გრძელვადიანი სესხებისგან - პორტფელის საკონტრაქტო შეწონილი ვადიანობა შეადგენს 23.2 წელს, საშუალო შეწონილი დარჩენილი ვადიანობა შეადგენს დაახლოებით 10.9 წელს, ხოლო სახელმწიფო საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 1.92%-ს.

სახელმწიფო ვალის სტრუქტურა 2015 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით



2015 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელის 71% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. ეს გარემოება ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისგან და უზრუნველყოფს ვალის მომსახურების ხარჯების შენარჩუნებას დაბალ დონეზე. სახელმწიფო საგარეო ვალის 45% SDR-შია დენომინირებული (ნასესხობის სპეციალური უფლება) მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და აზიის განვითარების ბანკის ფინანსური რესურსების დიდი წილის გამო.

სავალუტო სტრუქტურა



საპროცენტო განაკვეთის ტიპი



სახელმწიფო საგარეო ვალის სტრუქტურა - 2015 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით

კრედიტორი	კრედიტის ვალუტა	ნაშთი(ათასი)			საპროცენტო განაკვეთი	საპროცენტო განაკვეთი 31.10.2015	შეწონილი საპროცენტო განაკვეთი
		კრედიტის ვალუტაში	აშშდოლარში	ლარში			
სახელმწიფო საგარეო ვალი			*4,203,445*	*10,079,860*			
მრავალმხრივი კრედიტორები			**2,983,673**	**7,154,848**			
განვითარების საერთაშორისო ასოციაცია(WB-IDA)	SDR	699,152	976,624	2,341,945	0,75%	0,75%	0,174%
		172,358	240,762	577,346	2,00%	2,00%	0,115%
		6,846	9,563	22,932	2,15%	2,15%	0,005%
რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი(WB-IBRD)	USD	55,680	55,680	133,521	LIBOR+ცვლადი სპრედი	0,81%	0,011%
		206,629	206,629	495,496		0,61%	0,030%
		42,336	42,336	101,521		1,09%	0,011%
		98,287	98,287	235,693		1,01%	0,024%
		84,529	84,529	202,699		0,97%	0,020%
		13,456	13,456	32,266		0,94%	0,003%
		150	150	360		1,33%	0,000%
		120,000	120,000	287,760		1,37%	0,039%
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი(IFAD)	SDR	15,369	21,469	51,483	0,75%	0,75%	0,004%
		1,080	1,508	3,617	2,00%	2,00%	0,001%
		4,742	6,624	15,883	(SDRLIBOR+IBRD-ის ცვლადი სპრედი)/2	0,58%	0,001%
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF PRGF,NBG)	SDR	14,000	19,556	46,896	0,00%	0,00%	0,000%
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF SBA)	SDR	80,000	111,750	267,976	SDR-ის განაკვეთი	1,05%	0,028%
ევროგაერთიანება (EU)	EUR	10,000	11,015	26,414	0,52%	0,52%	0,001%
ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD)	EUR	76,914	84,721	203,160	EURIBOR+1%	1,03%	0,021%
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	SDR	214,095	299,063	717,154	1% საშეღავათო პერიოდის განმავლობაში,1.5% მას შემდეგ	1,00%	0,071%
		48,447	67,674	162,281	2,00%	2,00%	0,032%
		38,429	53,680	128,725	1,60%	1,60%	0,020%
		46,879	65,484	157,030	1,00%	1,00%	0,016%
	USD	83,333	83,333	199,833	LIBOR+ფიქსირებული სპრედი	0,72%	0,014%
		21,703	21,703	52,044		0,74%	0,004%
		31,762	31,762	76,164		0,94%	0,007%
		930	930	2,231		0,97%	0,000%
		16,000	16,000	38,368		0,76%	0,003%
		17,669	17,669	42,370		1,00%	0,004%
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	EUR	95,061	104,710	251,095	EURIBOR+0.75%	0,78%	0,019%
	EUR	40,000	44,060	105,656	EURIBOR+0.82%	0,85%	0,009%
	EUR	23,226	25,583	61,349	1,69%	1,69%	0,010%
	EUR	20,000	22,030	52,828	1,94%	1,94%	0,010%
	EUR	23,000	25,335	60,752	EURIBOR+0.858%	0,89%	0,005%
ორმხრივი კრედიტორები			**717,536**	**1,720,651**			
ავსტრია	EUR	10,930	12,039	28,871	1,00%	1,00%	0,003%
აზერბაიჯანი	USD	10,806	10,806	25,914	3,00%	3,00%	0,008%

კრედიტორი	კრედიტის ვალუტა	ნაშთი(ათასი)			საპროცენტო განაკვეთი	საპროცენტო განაკვეთი 31.10.2015	შეწონილი საპროცენტო განაკვეთი
		კრედიტის ვალუტაში	აშშდოლარში	ლარში			
თურქმენეთი	USD	211	211	506	4,00%	4,00%	0,000%
თურქეთი	USD	20,668	20,668	49,562	3,00%	3,00%	0,015%
ირანი	USD	8,422	8,422	20,197	3,00%	3,00%	0,006%
რუსეთი	USD	88,369	88,369	211,909	4,00%	4,00%	0,084%
სომხეთი	USD	12,717	12,717	30,496	3,00%	3,00%	0,009%
უზბეკეთი	USD	256	256	615	3,00%	3,00%	0,000%
უკრაინა	USD	234	234	561	3,00%	3,00%	0,000%
ყაზახეთი	USD	27,774	27,774	66,602	4,00%	4,00%	0,026%
ჩინეთი	CNY	21,000	3,325	7,972	0,00%	0,00%	0,000%
გერმანია(KfW)	EUR	38,406	42,304	101,445	2,00%	2,00%	0,020%
		64,773	71,348	171,091	6,06%	6,06%	0,103%
		4,725	5,205	12,481	4,20%	4,20%	0,005%
		8,721	9,606	23,035	2,20%	2,20%	0,005%
		128,880	141,961	340,423	0,75%	0,75%	0,025%
იაპონია	JPY	3,248,200	26,995	64,733	2,30%	2,30%	0,015%
		2,054,241	17,072	40,939	0,01%	0,01%	0,000%
		1,404,2470	116,702	279,852	0,65%	0,65%	0,018%
		264,515	2,198	5,272	1,30%	1,30%	0,001%
კუვეიტი	KWD	5,008	16,549	39,685	3,00%	3,00%	0,012%
ნიდერლანდები	EUR	180	198	474	4,20%	4,20%	0,000%
		1,067	1,175	2,819	5,10%	5,10%	0,001%
აშშ	USD	7,644	7,644	18,330	2,25%	2,25%	0,004%
		498	498	1194	1,50%	1,50%	0,000%
		9,954	9,954	23,870	2,50%	2,50%	0,006%
		10,046	10,046	24,091	2,00%	2,00%	0,005%
საფრანგეთი	EUR	19,953	21,978	52,703	1,10%	1,10%	0,006%
		2,479	2,731	6,548	0,17%	0,17%	0,000%
		25,918	28,549	68,461	EURIBOR+1.8%	1,83%	0,012%
ფასიანი ქაღალდები			**500,000**	**1,199,000**			
ევროობლიგაცია 2021	USD	500,000	500,000	1,199,000	6,875%	6,875%	0,818%
გარანტირებული კრედიტები			**2,236**	**5,362**			
გერმანია(KfW)	EUR	2,030	2,236	5,362	0,75%	0,75%	0,000%
				საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი			**1,921%**

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტების ათვისებას 680 000 ათასი ლარის ოდენობით. ასევე მსოფლიო ბანკის „განვითარების პოლიტიკის ღონისძიების“ ფარგლებში გათვალისწინებულია 240 000.0 ათასი ლარი, აზიის განვითარების ბანკის „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის“ ფარგლებში 120 000.0 ათასი ლარი და ევროკავშირის მაკროეკონომიკური დახმარება 35 000 ათასი ლარი. დაგეგმილი თანხების ათვისების შემთხვევაში შენარჩუნებული იქნება სახელმწიფო საგარეო ვალის პარამეტრების მდგრადობა.

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 628,700.0 ათასი ლარი, საიდანაც 360,000.0 ათასი ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 268,700.0 ათასი ლარი პროცენტის თანხას:

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 2016 წლისათვის (პროგნოზი)

კრედიტორები	ვალების დაფარვა	პროცენტი	სულ 2016
სულ	**360,000**	**268,700**	**628,700**
ავსტრია	-	361	361
კუვეიტი	5,060	1,240	6,300
იაპონია	7,158	4,631	11,789
გერმანია	56,560	22,576	79,136
აშშ	5,912	1,513	7,425
სომხეთი	2,887	927	3,815
აზერბაიჯანი	2,209	788	2,997
ირანი	1,770	610	2,381
ყაზახეთი	11,684	19,592	31,276
ნიდერლანდები	459	189	648
რუსეთი	19,373	8,633	28,007
თურქეთი	4,191	1,635	5,826
თურქმენეთი	528	10,152	10,680
უკრაინა	69	16	85
უზბეკეთი	76	18	93
საფრანგეთი	20,504	2,486	22,989
ჩინეთი	1,125	-	1,125
IDA	133,151	33,671	166,822
IBRD	27,469	23,958	51,427
IFAD	3,298	952	4,250
EBRD	24,964	6,053	31,018
EIB	10,720	14,338	25,059
ADB	20,833	24,143	44,976
IMF	-	4,115	4,115
EU	-	164	164
ევრობონდები	-	85,938	85,938

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს 12 თვიანი სახაზინო ვალდებულებების და 2 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების ემისიას. 2015 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ბოლო აუქციონებზე დაფიქსირებულმა საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთებმა შეადგინა: 12 თვიანზე 11.2%, 2 წლიანზე - 13.8%, 5 წლიანზე - 14.2%, 10 წლიანზე - 13.8%.

სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი 2015 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგენს 2 192.5 მილიონ ლარს (სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალებში - 2 225.7 მლნ ლარი), აქედან 1 646.6 მილიონი ლარი წარმოადგენს ნაშთს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ნაწილში, ხოლო 545.8 მილიონი ლარი - „სახელმწიფო ობლიგაციები სებ-სთვის და ღია ბაზრის ოპერაციებისათვის“ ნაწილში.

შენიშვნა: სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი არ მოიცავს ე.წ. "ისტორიულ ვალს". "ისტორიული ვალის“ მოცულობა საორიენტაციოა, ვინაიდან ამ კატეგორიის უმეტესი ნაწილი დასაზუსტებელია

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალებში ვადის და ტიპის მიხედვით 2015 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით

	ათასი ლარი
სულ	**2,225,652**
სახაზინო ფასიანი ქაღალდები	**1,679,806**
12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები	434,000
2 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები	565,784
5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები	545,022
10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები	135,000
სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	**545,846**
სახელმწიფო ობლიგაცია სებ-სთვის	400,846
სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	145,000

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს საშინაო ვალდებულებების კლებას 773,000 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას 738,000 ათასი ლარის ოდენობით და სახელმწიფო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას (სებ-ის მიმართ ვალი) 35,000 ათასი ლარის ოდენობით, საქართველოს მთავრობის და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 15 მაისის „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად. 2015 წლის განმავლობაში სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად საშინაო ვალდებულებების დაგეგმილი ზრდა შეადგენს 938,000 ათას ლარს. შესაბამისად, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად საშინაო ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრება არა უმეტეს 200,000 ათასი ლარის წმინდა ზრდით.

სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 2016 წლის ბოლოსთვის

ათასი ლარი

	კრედიტორი	საპროგნოზო ნაშთი 31.12.2016
	სულ სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფოს გარანტიით აღებული საგარეო კრედიტების ზღვრული მოცულობა	**11,577,721**
	მრავალმხრივი კრედიტორებისაგან	**8,402,515**
1	მსოფლიო ბანკი (WB)	4,878,600
2	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	75,610
3	საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	284,713
4	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	227,023
5	აზიის განვითარების ბანკი (ADB)	2,162,237
6	ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	704,881
7	ევროკავშირი (EU)	69,449
	ორმხრივი კრედიტორებისაგან	**1,954,662**
1	ავსტრია	33,003
2	აზერბაიჯანი	23,547
3	თურქმენეთი	507
4	თურქეთი	45,106
5	ირანი	18,249
6	რუსეთი	189,777
7	სომხეთი	27,101
8	უზბეკეთი	509
9	უკრაინა	465
10	ყაზახეთი	66,658
11	ჩინეთი	7,901
12	გერმანია	728,712
13	იაპონია	572,198
14	კუვეიტი	35,866
15	ნიდერლანდები	3,171
16	ამერიკა	59,936
17	საფრანგეთი	141,956
	სხვა საგარეო ვალდებულებები	**1,200,000**
1	ევრობონდები	1,200,000
	სახელმწიფოს გარანტიით აღებული კრედიტები	**5,597**
1	გერმანია	5,597
	საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ეროვნული ბანკი)	**14,947**
	საშინაო ვალის ზღვრული მოცულობა	**2,997,711**
1	ეროვნული ბანკისთვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია	360,846
2	სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	142,000
3	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	473,934
4	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	1,348,606
5	ისტორიული ვალი	672,325
	სულ სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა	**14,575,432**